ბუნებრივი გაზის დამუშავების ლიცენზია

სსიპ „ნავთობის და გაზის სახელმწიფო სააგენტოს“ მიერ გაცემული ბუნებრივი გაზის დამუშავების ლიცენზია ადასტურებს პირის უფლებას განახორციელოს ბუნებრივი გაზის დამუშავება.

საქმიანობის ლიცენზიის მიღება რეგულირდება „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით (მუხლი 256). ბუნებრივი გაზის დამუშავების ლიცენზიის მისაღებად სააგენტოს უნდა წარედგინოს განაცხადი სააგენტოს მიერ დამტკიცებული ფორმით.

განაცხადს თან უნდა ერვთოდეს:

ა) საქართველოს რეზიდენტისათვის – ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, ხოლო უცხო ქვეყნის საწარმოსათვის – მისი კანონმდებლობის შესაბამისად დამოწმებული/ლეგალიზებული სადამფუძნებლო დოკუმენტაცია/ რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი და საქართველოში წარმომადგენლობის რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ბ) განმცხადებლის მიერ განსახორციელებელი, საქმიანობის ლიცენზიით განსაზღვრული საქმიანობის დეტალური აღწერა;

გ) იმ ტექნოლოგიებისა და მეთოდოლოგიური პროცესების დეტალური აღწერა, რომლებსაც განმცხადებელი ქარხანაში გამოიყენებს;

დ) იმ ნედლეულის ან ნავთობგაზპროდუქტების დეტალური აღწერა, რომლებსაც განმცხადებელი ქარხანაში გამოიყენებს;

ე) აუდიტის დასკვნა განმცხადებლის ფინანსური მდგომარეობის შესახებ;

ვ) არსებობის შემთხვევაში – დოკუმენტი განმცხადებლის გამოცდილების (კვალიფიკაციის) შესახებ და იმ ქვეყნების სია, სადაც იგი ახორციელებდა საქმიანობას ბოლო 5 წლის განმავლობაში;

ზ) განმცხადებლის წერილობითი გარანტია, რომ ბუნებრივი გაზის დამუშავების ლიცენზიის მიღების შემთხვევაში იგი სააგენტოს წარუდგენს სრულ ინფორმაციას ლიცენზიით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელების შესახებ;

თ) საჭიროების შემთხვევაში, მიწის კერძო მესაკუთრის წინასწარი წერილობითი თანხმობა საქმიანობის ლიცენზიის მფლობელის მიერ ბუნებრივი გაზის დამუშავების საქმიანობისათვის მისი მიწის გამოყენებაზე და იჯარის პირობები.

განმცხადებლის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე სააგენტო წყვეტს ბუნებრივი გაზის დამუშავების ლიცენზიის გაცემის საკითხს. ბუნებრივი გაზის დამუშავების ლიცენზიაში აღნიშნული უნდა იყოს პირობები, რომლებითაც საქმიანობის ლიცენზიის მფლობელს მიეცემა შესაბამისი საქმიანობის უფლება.

„სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონით ბუნებრივი გაზის დამუშავების ლიცენზიისთვის დადგენილი სალიცენზიო მოსაკრებელი განსაზღვრულია 5 000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით.

ნორმატიული აქტები

- ✓ საქართველოს კანონი „ნავთობისა და გაზის შესახებ“

https://matsne.gov.ge/ka/document/view/18424?publication=32

- ✓ საქართველოს კანონი „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“

https://matsne.gov.ge/document/view/12880?publication=86